№ 60 მარტი 19, ხუთშაბათი 1892 ხუთშაბათი № 60


გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-საბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, გარანცოვის ძმების პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


გაზეთი „ივერია“ მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან. 75 კაპ.

---

**ნიკოლოოზ და მიხეილ ერეკლეს ძენი ციციშვილნი, ბარბარე ვასილის ასული ამირალოვისა, ნატალია იაგორის ასული ოქოევისა, ნინო იაგორის ასული ლისინოვისა და ეკატერინე იაგორის ასული შადინაროვისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა: პირველი მეუღლისა თვისისასა, მეორე—რძლისასა, მესამე—შვილისასა დ დანარჩენნი—დისა თვისისა, **ანნა იაგორის ასულის კნეინა ციციშვილისასა**, და სთხოვენ ობრძანდნენ ქ. გორში ამა მარტის 21-სა, შაბათს, დილის ცხრა საათზედ, გასასვენებლად გვამისა ლისინოვის სადგომიდგან წმიდა ღვთის-მშობლის ეკკლესიაში. (2—41—1)

---

ქართული თეატრი

კვირას, 22 მარტს,

ქართულ დრამატიულის დასის არტისტებისაგან

**მ. საფაროვის თაოსნობით წარმოდგენილი იქნება:**

## ორი ობოლი

დრამა 5 მოქ. და 6 სურათად, თარგ. ა. ვ. ცაგარლისა.

ამ წარმოდგენისათვის მოწვეულია არტისტი-ქალი

**ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვისა, ავალოვისა, ჩერქეზიშვილისა, დიდებულიძისა, მანდენოვისა; ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, სვიმონიძე, გედევანოვი, გამყრელიძე, შათიროვი, საფაროვი, და სხვ.

ამ პიესაში პირველად გამოვლენ სცენაზედ ახალგაზდა არტისტი-ქალნი, დიდებულიძისა და მანდენოვისა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

---

**ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა** პატივის-ცემით განაცხადებს, რომ ამა მარტის ოც-და-ორს, საღამოს ექვს საათზედ, დანიშნულია ამა საზოგადოების წევრთა საყოველთაო კრება.

ამ კრების საქმე არის:

1) განიხილოს და დაამტკიცოს ანგარიში საზოგადოების ოპერაციებისა წარსულის 1891 წლის განმავალობაში და მონაგების განაწილება.

2) განიხილოს წინადადება წესდების რამდენისამე მუხლის შეცვლისა.

3) დანიშნოს რიგი და ზომა იმ გასამრჯელოსათვის, რომელიც უნდა მიეცეს მმართველობაში თანამდებობის პირთ.

4) განიხილოს და დაამტკიცოს ხარჯთ-აღრიცხვა 1892 წლისათვის,

და 5) აღირჩიოს წესდების თანახმად გამომავალთა მაგიერი: რჩევის ორი დეპუტატი, გამგეობის თავმჯდომერე და აგრეთვე სარევიზიო კომმისიის წევრები და ამ უკანასკნელთა კანდიდატები და სხვა თანამდებობის პირნი, თუ რომ საჭირო აღმოჩნდა. (1—1)

---

## ახალი ამბავი

*** პარასკევს, 20 მარტს, ქართულს თეატრში კონცერტი აქვს დანიშნული მოსკოვის ფილარმონიულ საზოგადოების კონსერვატორიის მოსწავლეს, ტენორს ბირშერტ-დოდაშვილს. ბ-ნს ბირშერტ-დოდაშვილს ერთი წელიწადი უკლია კონსერვატორიაში სწავლის დამთავრებას და სწავლის განსაგრძობ შეძლების მოსაპოვებლადა ჰმართავს ამ კონცერტს. კონცერტში მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი მ. ს. სლავინა, კრასოვსკაია და ბ-ნნი კ. ყიფიანი, ვ. აბაშიძე, მ. გრეხოვი, ნ. ბიაზი, ცხომელიძე, ადამიძე და სხ. კონცერტში რამდენიმე ნომერი ქართულადაც იქნება ნაგალობევი, როგორც თვით ბ-ნ ბირშერტ-დოდაშვილისა, ისე სხვა მონაწილეობის მიმღებთა მიერ.

*** ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი „გუჯრები“ (საისტორიო მასალა) ბ-ნ ა. ხახანაშვილისა, გამოცემა დეკ. დ. ღამბაშიძისა. ეს გუჯრები ბ-ნ ხახანაშვილს გადუწერია საეკკლესიო მუზეუმის გუჯრებისაგან და აგრეთვე იმ კერძო კაცთა გუჯრებისაგან, რომელიც გორში მოუპოვებია. გუჯრები ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა გაზ. „მწყემს“-ში და ეხლა ცალკე წიგნად გამოვიდა. წიგნს წინ უძღვის საინტერესო წინასიტყვაობა ბ-ნ ალ. ხახანაშვილისა, რომელიც შეეხება საქართველოს წეს-წყობილების ისტორიას. მოგვყავს შინაარსი ამ წინასიტყვაობისა: „ეკკლესიის მნიშვნელობა.—საეკკლესიო მამულები და ყმები.—მამულების შეწირვა.—თანამდებობის მემკვიდრეობა.—საეკკლესიო კრებანი.—საერო კრებანი და მათი შედარება რუსეთისა და ევროპის კრებასთან.—მეფენი.—ბერნი.—მაჰმადიანთაგან ჩვენის ეკკლესიის დამოკიდებულება.—ეკკლესიის გავლენა.

ეს წინასიტყვაობაც ამას წინად დაიბეჭდა გაზეთ „მწყემსის“ ნომრებში. სამწუხაროდ, მთელი წიგნი ვერ არის კარგად და სუფთად დასტამბული და შიგ მრავალი, შეუწყნარებელი კორექტურული შეცდომაც მოიპოვება.

*** ზეგ, ამ თთვის 21, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში კრება მოხდება კავკასიის იურიდიულ საზოგადოებისა, რომელმაც, სხვათა შორის, უნდა მოისმინოს რეფერატი „საზოგადოების“ თავმჯდომარის ბიკოვისა: ჴიპნოტიზმით შთაგონების გავლენა დანაშაულობაზედ. კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** გამიჯნვის საქმე დაიწყება

თელავის მაზრაში:

აგარებში: ჰელთის მინდორი—4 ივლისს, რუის-პირი და იყალთო—17 ივლისს, ახატელი—1 მაისს, ართანანი—11 ივლისს, ნაქალაქევი—1 აგვისტოს, გრემი—8 ივლისს, ახმეტა—2 ოქტომბერს.

ტფილისის მაზრა:

კუკიის მინდორში—11 ივლისს, ნავთლუღის მინდორში—27 აგვისტოს, მამკოდის მინდორში—20 ივნისს, წმ. ანტონის სათიბ ადგილებში—5 ივნისს, ტაბახმელას—2 მაისს, პატარძეულსა და ბერთუბანში—20 აგვისტოს, ერწოში—18 მაისს, ტახმიაურში—27 ივნისს, ყარაიაზის მამულებში—10 აპრილიდგან 1 ივნისამდე და შემდეგ 1 სექტემბრიდგან, დავით გარე ჯელის მონასტრის მამულებში—1 ივნისს, ლელუბანში—1 მაისს, ლიგურეთში—6 ივნისს, დიდ დმანისში—1 ივნისს.

თიანეთის მაზრა:

მატან-მარელისში—1 მაისს, ჩობანო-ხაიშოში—20 ივნისს, თუშების, ფშავების და ქისტების მამულის აგარებში—10 აპრილს.

სიღნაღის მაზრა

გაღმა მხრის ანდრონიკაანთ მამულებში—15 აპრილს, ფხოველში—1 მაისს, კარდანახში—1 მაისს, არამდარაში—6 მარტიდგან 25 აპრილამდე და შემდეგ 10 სექტემბრიდგან.

*** 16 მარტს იარმუკაზედ ცხენის რკინის გზის ვაგონმა № 17 თორმეტის წლის ყმაწვილი თომა ვარდანოვი გაიტანა. ყმაწვილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

*** იმავე დღეს იარმუკაზედ ბაზრის ზედამხედველმა დავიდოვმა აღმოაჩინა, რომ მეპურე ყარამან ბოჭრაძე ყალბისა და დამღა-დაუსმელის საწონებითა ჰყიდდა პურს. ყარამან ბოჭრაძეს შესაფერი ოქმი შეუდგინეს.

*** იმიერ-კასპიის რკინის გზის უმთავრესს სადგურებზედ ახლად დაარსდება საფოსტო კანტორები. რკინის გზის ფოსტის მოხელეების დანიშვნა ამიერ-კავკასიისა და იმიერკასპიის რკინის გზების მმართველსა აქვს მინდობილი.

*** 16 ამ თთვისას ერთმა ტფილისელმა მეწისქვილემ თავისს მოჯამაგირეს ქურდობა დააბრალა და პოლიციის 8 განყოფილებაში გაჰგზავნა. მოჯამაგირე უარზედ იდგა, მაგრამ მაინც დააპატიმრეს პოლიციაში. დამ-

---

## ფელეტონი

### ჩვენი მთის ხალხი

საბიბლიოგრაფიო წერილი

თხზულებანი ალექსანდრე ყაზბეგისა. სამი ტომი. ტფილისი, 1891 წ.

(შემდეგი, იხ. „ივერია“ № 59)

II

ქართული კითხვაც რომ არ უყვარდეს ჩვენს თანამემამულეს, ალექსანდრე ყაზბეგის ნაწერები მაინც წაკითხული ექნება. მგონია, ვერც ერთი ქართველი მწერალი ვერ შეედრება ამ ბელეტრისტს შესახებ თავიანთ თხზულებების გავრცელებისა ხალხში. ყაზბეგს კითხულობს ერთ ნაირის ხალისით დიდიცა და პატარაც, ქალიცა და კაციც, ნასწავლიცა და მარტო ანბანის მცოდნეც. ყაზბეგი ნამდვილად საყვარელი მწერალია ქართულს ლიტერატურაში. ჯერ მაშინაც-კი, როდესაც მისი ნაწერები გაფანტული იყო ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, ყაზბეგის სახელი პირზედ ეკერა ჩვენს მკითხველს. მერე, რაკი ჩვენმა ქართულ წიგნების მბეჭდავმა ამხანაგობამ მოახერხა და შარშან სამ წიგნად დაჰბეჭდა ყაზბეგის თხზულებანი, რასაც დიდის მოუთმენელობით ელოდდა ქართველი საზოგადოება, ყაზბეგის სახელი უფრო საფუძვლიანად დამკვიდრდა ჩვენს გულში და მისის ნაწერების წყალობით ჩავარდა კიდეც, მგონი, საძირკველი საშინაო ბიბლიოთეკებისა ქართულს ოჯახებში. ამისთანა მწერალს იცნობს ყოველი ქართველი მკითხველი და ამის გამო საგანი ჩვენის საბიბლიოგრაფიო წერილისა ერთიორად გაადვილებულია, რადგან აღარ დაგვჭირდება გარდმოცემა მოთხრობათა შინაარსისა. მკითხველმა კარგად იცის ეს შინაარსი და ამიტომ თვით ჩვენის შეხედულობისა და აზრის აღებ-მიცემობაც მკითხველთან უფრო საადვილოა. მკითხველი ხშირად სახელების გახსენებითაც მიგვიხვდება, რის თქმაცა გვწადიან.

ჩვენ განზრახვა გვაქვს შეძლებისამებრ წარმოვსთქვათ ჩვენი შეხედულობა ყაზბეგის ყოველ ნაწერის შესახებ, რომელსაც-კი საგნადა აქვს მთა და მთის ხალხი. ამ შემთხვევაში ყაზბეგის ნაწერები ისეთი სახარბიელო მასალაა და ისეთს საგნებს შეეხება, რომ სწორედ საპატიებელი არ უნდა იყოს ბიბლიოგრაფი, რომელიც არ ეცდება, რომ გამოიყენოს ეს ძვირფასი მასალა და თავისი აზრი მოკლედ მაინც დაადგინოს ყოველ მოთხრობის შესახებ. რამდენად შემცდარია ის აზრი, ვითომ ყაზბეგის ერთი მოთხრობა გამეორებაა მეორე მოთხრობისაო, ამას მკითხველი დაინახავს, როდესაც ჩვენთან ერთად ფეხდაფეხ მიჰყვება მწერლის ნაწარმოებთა განხილვას. ჩვენს საბილიოგრაფიო წერილში დავადგებით იმ რიგს, რა რიგზედაც დაუბეჭდია ამხანაგობას ყაზბეგის თხზულებანი, ე. ი. დავიწყობთ პირველ ტომიდგან და გავათავებთ მესამეთი.

**

პირველი წიგნი, როგორც მკითხველმა იცის, იწყობა „ელგუჯათი“. ელგუჯა სახელია მოთხრობის ერთ-ერთის მომქმედ პირისა. რად დაურქმევია ავტორს მოთხრობისათვის ელგუჯას სახელი, ჩვენ არ ვიცით. მხოლოდ ვფიქრობთ, რომ იქნება, რაკი ელგუჯას თავ-გადასავალი გატარებულია მთელს მოთხრობაში, ამიტომ ავტორმა სხვა კერძო სახელებს ამჯობინა ელგუჯა. ნამდვილად-კი ეს მოთხრობა ძლიერ ნაკლებად არის აშენებული რომელისამე კერძო ადამიანის ავ-კარგიანობაზედ. ეს მოთხრობა არის მთელი ისტორია იმ თავ-გადასავალისა, გაჭირვებისა და განსაცდელისა, რომელიც გარდაჰხდა ჩვენს მთის ხალხს და ჩავარდა საგონებელში იმ დღიდგან, რაც პირველად რუსეთის მხედრობა მოადგა კავკასიის ჩრდილოეთს, ვიდრე რუსეთის სახელმწიფო ერთიან დამკვიდრდებოდა საქართველოში. აქ ერთი ან მეორე მომქმედი პირი თითქმის არაშია და თვით ავტორიც მაგდენს არას დაგიდევს პიროვნებათა განცალკევებულს ცხოვრებას. იმას სახეში ჰყავს მთელი ხალხი და მისი მწარე ისტორია, ხოლო განცალკევებულს კაცს მიჰმართავს იმდენად, რამდენადაც საჭიროა, რომ მისის პირით გამოჰხატოს ხალხის გულის-პასუხი. მიზეზიც ეს არის, რომ ამ მოთხრობაში პიროვნებანი ვერ არიან ხელოვნურად ჩამოსხმულნი, ვერა ჰხედავთ იმას, რასაც ვეძახით ტიპებს, ე. ი. იმისთანად დასურათებულს გმირებს, რომელთა ხსენებაზედ თქვენ თვალ-წინ წარმოგიდგებათ მთელი აგებულება მათის ხასიათისა, სულისა და გულის განკერძოებულის თვისებისა და სხვანი. მთელს მოთხრობაში ამისთანა ტიპი მხოლოდ ერთია. ეს გახლავთ „ძმად-გაფიცული“ ამხანაგი ელგუჯასი მათია. თორემ ელგუჯა, ბერდია, მარტია, ჯაჯალა, მზალო და სხვანი გამოყვანილნი არიან მხოლოდ იმ აზრით, რომ მათით ავტორმა დაგვანახვოს ზედ-მოქმედება და მნიშვნელობა აღწერილის ისტორიულის ამბებისა. აიღეთ, მაგალითად, ელგუჯა. ვინ არის ელგუჯა?—იგი არის ვაჟკაცი, გულადი, მოყვარე თავისს ერისა, მე-

წყვდეულმა მოჯამაგირემ ოთახში თოკი იპოვნა, ჩამოაბა გამომარყუჟებით და თავის ჩამოხრჩობა დააპირა. გაჰყო თავი მარყუჟში, თოკი წაეჭირა და პირიდგან დუჟმა დაუწყო დენა. ბედზედ დარაჯმა შეამჩნია ეს ამბავი და სხვებსაც შეატყობინა. ჩამოხსნეს საწყალი მუშა და რის ვაივაგლახით ძლივს მოაბრუნეს. მიზეზი მუშის მიერ თავის განწირვისა, როგორც თითონა სთქვა, ყოფილა—ცილის წამება, შეურაცხყოფა თავმოყვარეობისა და შელახვა და შებღალვა პატიოსნებისა.

*** სტამბოლის სომხური გაზეთები სწერენ, რომ ქალაქ ადაბაზარის მცხოვრებლებს საშინელი უბედურება ეწვიათო. წვიმებისა და ნიაღვრებისაგან მდინარე სახერია, რომელიც ამ ქალაქს ჩამოუდის, ისე ადიდდა, რომ თითქმის ნახევარი ქალაქი წალეკა, 1,500 სახლზედ მეტი წყალმა დაჰფარა და ორი ხიდი წაიღო. წყალი თანდათან მატულობს. უხიდობის გამო ქალაქის მცხოვრებლებს პური შემოაკლდათ და ვერც სოფლებიდგან მიუტანიათო.

*** გომბორი (ტფილისის მაზრა): კარგი იქნება, ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობამ ჩვენც, გომბორ-თელაველებსაც, როგორც სიღნაღელებს, რომელთაც დილიჯნით ყოველ დღე მისდით გაზეთები, ყურადღება მოგვაქციოს და გაგვიადვილოს მათებრ გაზეთებისა და წერილების მიღება. დიდად მადლობელნი დავრჩებით გამგეობისა, თუ გვიშუამდგომლებს მამულოვთან, თელავის დილიჯნის პატრონთან, რომელიც ვგონებთ უარს არ იტყვის ამაზედ. მამულოვის დილიჯანი ზამთრობით ტფილის-თელავს შუა დღეგამოშვებით დადის, ხოლო ზაფხულობით ყოველ დღე ივლის.

დღემდის გაზეთები რიგიანად არ მოგვდის, მით უმეტეს, რომ აქ, გომბორში, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება არ არის, რის გამოც ჩვენი გაზეთები ვაზიანის სადგურში მთელი კვირა აწყვია ხოლმე.

*** ოზურგეთი: 15 ამა თთვისას ოზურგეთის მახლობლად ხუთის ვერსის მანძილზე სოფ. კახურში ნაშუაღამევს ნატანებიდგან მომავალს ეტლს დახვდნენ ყაჩაღები, ერთი ცხენი დასჭრეს, ეტლში მსხდომნი გაძარცვეს და გზას გაუდგნენ.

*** გომი: 14 მარტს, ღამის პირველს საათზედ, გომის სადგური სულ სხვა სანახავი იყო: მთლად მთელი გომი და გარეშემო სოფლები, თითქმის ათის ვერსის მანძილზედ, სულ განათებული იყო ცეცხლისაგან.

გომი სადგურიდგან ვერს-ნახევრის სიშორეზედ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის ხის სახერხ ქარხანას გაუჩნდა ცეცხლი. მთელმა გომის მცხოვრებლებმა მოიყარეს თავი, მაგრამ შველა-კი არ შეეძლოთ, რადგანაც იარაღი არა ჰქონდათ-რა.

მხოლოდ გომის სადგურის უფროსი ბ-ნი „სეკრეტი“ და ჟანდარმი სუსლოვი მოიქცნენ ყოჩაღად: მირეკეს მთელის სადგურის მუშები, წაიღეს მატარებლით საქრობი „ნასოსი“ და ერთგულად და მხნედ დაუწყეს ცეცხლს ქრობა. საათის პირველიდგან მოკიდებული დილის ექვს საათამდე მუხლი არ ჩაუდრეკიათ, ამათის შემწეობით გადარჩა დაუწვავი ხის შენობანი, სადაც მოსამსახურე ხალხი სცხოვრობდა, და ერთი ნაწილი „სარაიებისა“, სადაც დახერხილი ხის მასალა ეწყო: ზარალი 68,500 მანეთამდეა.

სრული ორი კვირა იქნება, რაც ბორჯომის მამულების მმართველმა, ბატონმა მარგრაფმა, გაუთავა საქმე პეტერბურგიდგან მოსულ ებრაელებს ვილენკინებს, რომელთაც იჯარით გარდასცა გომის სახერხი მაშინა და მთლად მთელი ხის მასალაც გადაწყვეტილ ფასად უნდა ჩაებარებინათ, მაგრამ ჩაბარება ვერ მოასწრეს, რომ ცეცხლმა შთანთქა როგორც სახერხი მაშინა, ისე ამდენი ხის მასალა: ქარხანა და მთელი მასალა დაზღვეული ყოფილა 100,000 მანეთად.

*** სურამი: ჯერ კიდევ კვალი ვერ მიუტანიათ, ვინ უნდა იყვნენ დამნაშავენი, რომელთაც ამ დღეებში სურამის დაახლოებით, თავისს სახლში მოჰკლეს თავადი ნიკო ჩხეიძე. ჯერ რევოლვერი თურმე ესროლეს და შემდეგ ხანჯლით ყელი გამოსჭრეს; დასჭრეს რევოლვერითვე ძუძუში იმისი ცოლი და ცოლის დის შვილი. ორივენი სასიკვდინოდ არიან დაჭრილნი, ასე რომ იმათი მორჩენა სათუოა.

სურამში, ბატონის მაზრის უფროსის განკარგულებით, მოვიდა ძველად აქ ნამყოფი პოლიციის მოხელე დავით დეკანოზიშვილი, რომელსაც მინდობილი აქვს გამოიძიოს ჩხეიძის მოკვლის ამბავი დ აღმოაჩინოს დამნაშავენი. მაგრამ, სამწუხაროდ, მაზრის უფროსმა წუხელისვე, 16 მარტს, საღამოს გორშივე დაიბარა. ავაზაკებს წაუღიათ 2,600 მანეთი ნაღდი ფული და რაც ვერცხლეულობა და ნივთები ჰბადებია, ისიცა. ზოგნი ლაპარაკობენ, რომ ჩხეიძე 14 მარტს ხაშურიდან წასულა თავისს სახლში ღამის ათს საათზედ და ვითომ ხაშურიდგან თუ დაედევნენ ავაზაკებიო. ზოგი კიდევ იმას ამბობს, რომ შინაური უნდა იყოს დამნაშავეო. ყოველსავე ამას გამოძიება აღმოაჩენს, თუ პოლიციამ ხელი მოუმართა და კვალს დამნაშავეებისას მიჰყვა.

*** კავკავი. ვერ იქნა და ვერ გახდნენ ღირსნი კავკავში მცხოვრები ქართველნი ქართულ წირვა-ლოცვის მოსმენას. განსვენებული მიხეილ ყიფიანის სიცოცხლეში, იმის მეთაურობით ორჯელ მიართვეს თხოვნა ქართველებმა კავკავის ეპისკოპოსს, რომ დაგვინიშნეთ ქართველი მღვდელი ჩვენის ხარჯითაო, მაგრამ, ვიღაცების წყალობით, ანუ ენით, მათი თხოვნა ორჯელვე უყურადღებოდ დარჩა. გარდიცვალა მიხეილი და მიყრუვდა კიდეც ქართველ მღვდლის საქმე ქართველობაში. დღემდე კიდევ ქართულ წირვა-ლოცვის უქონლობას თითქმის არაფრად იმჩნევდნენ, რადგან ოსების ეკკლესიის მღვდელი მ. მ. სუხიევი სწევდა საკუთარის მღვდლის მაგიერობას. პატივცემულმა მ. მ. სუხიევმა, თუმცა ქართულად მღვდელ-მოქმედების აღსრულება არ იცოდა, მაგრამ მისი ნამდვილი წმიდა ქართული ლაპარაკი და ქართულად დარიგება თითქმის აკმაყოფილებდა ქართველობას. ახლა-კი თქვენი მტერია, რომ კავკაველი ქართველნი ყოფაში ჩაცვივდნენ. სამწუხაროდ, მ. სუხიევი კავკავის ეპისკოპოსმა იოანიკემ შტატს გარეშე, ე. ი. უადგილოდ გამოიყვანა და მის მოადგილედ დროებით დანიშნა რუსის მღვდელი. ამ ნაირად, კაცები კიდევ ვისაც ცოტ-ცოტა რუსული ესმის, იოლად მიდიან, მაგრამ მანდილოსნები, მეტადრე ამ დიდმარხვაში, გასაჭ-რში ჩაცვივდნენ. წარსულს კვირაში ერთმა ჩემმა ნაცნობმა ქართველმა ასე შემომჩივლა: „რა ყოფა არის ჩვენი ყოფაო; წინა კვირაში სახლობით საზიარებლად მოვემზადეთ, ჩემმა სახლობამ რუსული არ იცის და ვკითხე მოძღვარს: აღსარება როგორ უნდა გითხრასმეთქი? მოძღვარმა ასე მიპასუხა: ,,რაც ვკითხო, იმან თავი დამიქნიოსო‘‘. სასურველია, რომ სასულიერო მთავრობამ ახლა მაინც ყურადღება მიაქციოს კავკაველს ქართველობას და დაუნიშნოს საკუთარი ქართველი მღვდელი.

*** ამ ჟამად იმიერ-კასპიის ადგილებში აქციზის მოხელეებს ამრავლებენ თურმე („Н. О.“).

*** გაზეთ „Нов. Обоз.“ დეპეშით ატყობინებენ ბაქოდგან: დღეს, 16 მარტს, ბაქოს ქალაქის საბჭომ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, უფასოდ დაუთმოს რეალურს სასწავლებელს ახალის შენობისათვის ადგილი, ღირებული 160,000 მანათად.

*** მარტის 17, საღამოს 6 საათზედ, პოლიციის მეცხრე ნაწილში სათადარიგო ჯარის კაცის ივანოვის ცოლი, 45 წლისა, სიმთვრალის დროს მადათოვის კუნძულთან წელამდე მდინარეში შევიდა, მაგრამ მალე მიუსწრო პოლიციელმა და ამოიყვანა.

## მთავრობის განკარგულებანი

### ნადირობის შესახებ.

(იხ. „ივერია“, № 56)

1) მთავრობის განკარგულება ნადირობის შესახებ, როგორც რუსეთს, აგრეთვე ესტლიანდიისა და ლიფლანდიის გუბერნიებს, დონის ოლქსა და აგრეთვე ამიერ კავკასიასაც შეეხება.

2) ეს განკარგულება შეეხება ყოველს გვარს ნადირობას: თოფით, მახით, ძაღლებით და სხ.

3) უმოწმობოდ ნადირობის ნება არავის არა აქვს მინიჭებული.

5) ნადირობის მოწმობას მაზრის უფროსები აძლევენ მსურველთ.

შენიშვნა. მცირე წლოვანებს მხოლოდ მშობელთა და ნათესავთა ნება-რთვით ეძლევათ ნადირობის მოწმობა.

6) ნადირობის მოწმობა სრულიად არ ეძლევათ: ა) ვინც პოლიციის მხედველობაში ჰყავს, ბ) ვინც ნადირობის შესახებ განკარგულებას დაარღვევს, ან ვინც სამართალშია მიცემული სხვის ხე ტყის წახდენისა და მოპარვისთვის, ვიდრე სამართალი შესაფერს სასჯელს არ მიაყენებს.

7) ნადირობის მოწმობას მხოლოდ ერთის წლითა აქვს ძალა.

8) ვინც ნადირობის მოწმობას იღებს, სამი მანათი გადახდება.

შენიშვნა. ეს ფულიც შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცემა და დარაჯების ჯამაგირს მოხმარდება.

9) ნადირობის მოწმობა უსასყიდლოდ ეძლევათ: ა) ტყის მოხელეებს, დარაჯებს და სანადირო საზოგადოების წევრებს, თუ ეს საზოგადოება კანონით არის დამტკიცებული ბ) სანადირო საზოგადოების წევრის მოჯამაგირეებს.

10) შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება აქვს, უსასყიდლოდ აძლიოს ნადირობის მოწმობა იმ მონადირეებს, ვინც სამეცნიერო საქმისთვის ხოცავს ან იჭერს ნადირსა და ფრინველებს.

12) მემამულეს სრული უფლება აქვს თავისს მამულში ნადირობისა.

13) სხვის მამულში ნადირობისთვის საჭიროა მემამულეს ნება-რთვა. (უეჭველად წერილობითი)

15) სასოფლო მამულებში ნადირობის ნება-რთვის უფლება მხოლოდ სოფლის საზოგადოებასა აქვს მინიჭებული. სოფლის საზოგადოებისაგან ნადირობის ნება-რთვის აღება მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ მთელმა საზოგადოებამ შესაფერი განაჩენი დაადგინა.

16) ქალაქის მამულებში ნადირობის ნება-რთვის უფლება ქალაქის მმართველობასა აქვს მინიჭებული.

17) ნადირობა აკრძალულია:

ა) ფურ-ირემზედ დედალს შველზედ, ირმისა და შველის ნუკრზედ—მთელის წლის განმავლობაში.

ბ) ხარ ირემზედ—1 მარტიდგან 15 ივლისამდე.

გ) მამალს შველზედ—1 ნოემბრიდგან 15 ივნისამდე.

---

ომარი, როგორც ასი და ათასი სხვა მთიელი, რომელნიც იმ დროს ერთ ნაირის თავ-გამოდებით იძახდნენ—ისევ გავწყდეთ და ჩვენს თავისუფლებას და ჩვენს თემობას-კი ნურავის გავალახვინებთ ჩვენისავე ხელითაო.

ამ სახით, „ელგუჯა“ არ არის აგრედ წოდებული ფსიხოლოგიური მოთხრობა. იგი არის მხოლოდ ისტორიულ ნიადაგზედ აშენებული ამბავი, რომელშიაც მომქმედ პირად გამოყვანილია არა ერთი და ორი ადამიანი, არამედ მთელი ქართველობა, მოსახლე დარიალის მიდამოში, დახატულია მთის ხალხის სული და გული, მისი ზნე-ჩვეულება, მისი რწმენანი, მისი თემობა მთელის თვისის ღირსებებით, დ სწორედ, თუ გნებავთ, ყაზბეგის ნიჭის გასაშტერებელი ძლიერებაც ეს არის, რომ მოთხრობაში ისე უნაკლულოდ, ისე სავსებით გამოააშკარავა ავტორმა ვითარება არა ერთისა და ორის ადამიანისა, არამედ მთელის მხარის მცხოვრებლებისა, დაჰხატა სრული სურათი ზემოდ აღნიშნულის ისტორიულის დროისა.

**

მერე რა დრო იყო ის დრო, რომელიც ნიშანში ამოუღია ალექსანდრე ყაზბეგს?—ეს ის დრო გახლდათ, როდესაც ასე თუ ისე უნდა გარდაწყვეტილიყო საქართველოს ბედი. მთა ყველგან და ყოველთვის ცხარე მოდარაჯეა თავისუფლებისა, მოყვარეა სიფართოვესი და სძულს სულის შემხუთავი მუხრუჭები. აქედგან ადვილად გაიგებთ, რომ მთის ხალხმა არჩია თავისუფალი სიკვდილი ბრძოლის ველზედ—მოდრეკილს სიცოცხლეს. მთამ შეჰკრა პირი და გაიმაგრა გზები, ჩაუსაფრდა ჯარებს, საკმარისი დაბრკოლება აღმოუჩინა პარტიზანულის ომით დ არც მცირედი ზიანი მისცა. რასაკვირველია, ამ შეტაკებაში თითონაც ნაკლები სიმწარე არ უნახავს... მაგრამ აქ თავი ვერ შემიკავებია, რომ არ მოვიყვანო რამდენიმე ჩინებული ადგილი მოთხრობიდგან შესახებ იმისა, თუ ძველად როგორა სცოდნია ჩვენს მთის ხალხს თემობით გარდაწყვეტა ზოგიერთის საზოგადო საქმისა. აგერ ბერდიას კალოზეა დანიშნული ადგილი, სადაც თემობა უნდა მოჰხდეს. ხალხი ნელ-ნელა თავს იკრებს,

„ბოლოს მოისმა სიმღერის ხმა და გამოჩნდნენ დროშებით დეკანოზები, რომელთაც სამასამდის შეიარაღებული ხალხი, ქუდ-მოხდილი, სიმღერით მოსდევდა. ეს ხმა იყო რაღაცა დიდებული, ვაჟკაცური, მაგრამ შემაწუხებელი, რომელიც შიგ გულის სამირკვლიდგან მოსწყდებოდა და მაღალის ბანით გრგვინვასავით გაისმოდა.

„კალოზედ მყოფი ხალხი წამოცვივდა ფეხზედ, მოიხადეს ქუდები და პირჯვრის წერით წინ მიეგებნენ. ყველანი მოწიწებით მიდიოდნენ, ყველანი გულ-მხურვალედ უყრიდნენ მუხლს იმ წმიდა დროშებს, რომელთაც არა ერთხელ გაუძღოლოდნენ წინ ბრძოლის ველზედ და არა ერთხელ დაებრუნებინათ იქიდგან გამარჯვებულნი და სახელოვანნი.

„დროშები მოაბრძანეს კალოზედ და დაასბძანეს ნიშთან, რომელიც იქვე კალოს ნაპირზედ იყო აშენებული... ყველამ მიაქცია თვალები დეკანოზებისაკენ და ქუდ-მოხდილებმა დაიჩოქეს.

„დეკანოზებმა დაიწყეს ხალხის დამწყალობნება, რომელშიაც ხვეწნას გამოსთქვამდნენ ღმერთთან და წმიდანებთან, რომ იმათ არ დაეგდოთ თავისი ხალხი და დაჰხმარებოდნენ იმათ გაჭირვებაში, დაეხსნათ მტრის ხელიდგან და მფარველადა ჰყოლოდნენ უბედურებაში. ეხვეწებოდნენ, რომ იმათ გამოეჩინათ თავისი სასწაული, როგორც მრავალჯერ გამოუჩენიათ და ქართველი ხალხისთვის თვალი აუხელიათ...

„ამის შემდეგ რიგი მოვიდა იმათის „შეკრისა“ (წყევლისა), ვინც მოღალატე გამოვიდოდა და ვინც ამ მოღალატეს ან დაიფარავდა, ან დაინდობდა და ან რომელსამე შემწეობას მისცემდა.

„ყოველ ამ სიტყვაში სჩანდა საერთოდ ხალხის სურვილი, საერთო გულის ძგერა, გულის ნაღველი...

„როდესაც ეს ყველა გათავდა, მედროშეებმა ჩაიბარეს დროშები, სხვადა-სხვა თანამდებობის პირნი იქმნენ ამორჩეულნი, ხალხი თითქოს დაწყნარდა.

„ამ წუთიდგან მეთაურები უბრალო ხალხისაგან ერთბაშათ გადაიქცა ისეთს ბრძანებლებად, რომლების სიტყვასაც ყველა უარის უთქმელად ასრულებდა, და ამორჩეულებიც ჰგრძნობდნენ თავიანთს ძალასა და მნიშვნელობას“ („ელგუჯა“ გვერდი 172—176).

**

მაგრამ როდესაც უმრავლესობა მთის ხალხისა ასეთს გმირობის გზას დასდგომოდა, ამავე დროს მის შორისვე, გამოჩნდნენ იმისთანანი, რომელნიც ჰგრძნობდნენ, რომ მთა უნდა დამარცხდესო, და ჩვენს თავს მაინც ვუშველითო. პირველი ეს, რომ მთელი ქართლი დაჰნებდა უკანასკნელს გარდაწყვეტილებას ჩვენის ბედისას, დ მეორეც ისა, რომ აბა მარტო მთის ხალხი რას გასწვდებოდა იმოდენა ძალას, რომელიც ჩრდილოეთიდგან იწევდა სამხრეთისაკენ! მთის ერთობა, მისი თემობა უნდა დარღვეულიყო, და ასეც მოჰხდა. მაგ., გაგი ჩოფიკაშვილი, მთის მუხლებზედ გაზრდილი, მთის სიკეთით განებივრებული, თემობის ზედ-მოქმედების ქვეშ ვაჟკაცად დამდგარი, აი რა პასუხს აძლევს ელგუჯას:

დ) ჯეირანზე, ჯიხვზე, არნზე და სხ. —1 მარტიდგან 15 ივლისამდე.

ე) მამალს ტყის ქათამზე—15 მაისიდგან 15 ივლისამდე.

ვ) ტყის ღალღაზე—1 ივნისიდგან 15 ივლისამდე.

ზ) გარეულ ბატსა და გედზე—1 მაისიდგან 29 ივნისამდე.

ჱ) მამალ იხვზე—1 ივნისიდგან 29 ივლისამდე.

თ) დედალ იხვზე, ლაინზე და ყოველგვარ ტბის ფრინველზე—1 მარტიდგან 29 ივნისამდე.

ი) მთის ქათმებზე—1 დეკემბრიდგან 15 აგვისტომდე.

კ) თურაჯზე—1 დეკემბრიდგან 1 ოქტომბრამდე.

ლ) ხოხობსა და კურდღელზე—1 თებერვლიდგან 1 სექტემბრამდე.

მ) დედალს ტყის ქათმებსა, კაკაბსა, სარსარაკსა და მწყერზე—1 მარტიდგან 15 ივლისამდე.

მამალს მწყერზედ ბადით ნადირობა აკრძალული არ არის 1 მაისიდგან 15 ივლისამდე.

ნ) დანარჩენ ნადირსა და ფრინველზე, (მტაცებელს ნადირსა და ფრინველს გარდა)—1 მარტიდგან 29 ივნისამდე.

18) სრულიად აკრძალულია, ტყის ქათმისა, ხოხბისა, თურაჯისა და მთის ქათმის დაჭერა, რა საშუალებითაც უნდა იყოს; აგრეთვე ფრინველების ბუდის გაფუჭება და კვერცხების ამოღება.

19) მტაცებელ ნადირისა და აგრეთვე ტყესა და მინდორში მაწანწალა მაღლებისა და კატების ხოცვა ყველა საშუალებით შეიძლება, საწამლავს გარდა.

შენიშვნა. საწამლავით მტაცებელ ნადირის ხოცვის ნებას აძლევთ გუბერნიისა და მაზრის უფროსებს.

(დასასრული იქნება)

---

## მკურნალთა საზოგადოების კრება

16 მარტს

ორშაბათს, 16 მარტს, მკურნალთა საზოგადოების კრებაზედ ამიერ კავკასიის რკინის გზის მკურნალმა ბ-ნმა სახაროვმა წაიკითხა ლექცია და გაასწორო. ჩვენ ეს საყვედური სრულებით არ გვესმის. არ ვიცით, როგორის ზომიერების მქონე უნდა იყოს მწერალი, რომ სათაყვანებლად

დაისვას გაგი ჩოფიკაშვილისთანა ადახუნაგის შესახებ. ლექტორმა სთქვა, რომ როგორც სხვა გადამდები ავადმყოფობა, ისე ხუნაგიც ბაცილებისაგან წარმოსდგებაო. ბაცილები მხოლოდ ავადმყოფის ყელში მრავლდება, მაგრამ თუ ცოტა მაინც სიმჟავე შეხვდა, მაშინვე იხოცებაო. სახაროვმა სთქვა აგრეთვე, რომ აქამდე ძნელი იყო ხუნაგთან ბრძოლა, რადგანაც ამ ავადმყოფობის მიზეზი არ ვიცოდით; და ეხლა-კი, როცა დამტკიცდა, რომ ხუნაგი ბაცილებისაგან წარმოსდგება, ეხლა, რასაკვირველია, ადვილია, რომ გამოვცადოთ, თუ როგორ მოქმედობს ბაცილებზედ სხვა-და-სხვა სიმჟავე და ამ გზით ხუნაგის უებარი წამალიც აღმოვაჩინოთ. სხვათა შორის ბ-ნმა სახაროვმა ისიცა სთქვა, რომ საქართველოში ხუნაგიანს სხვა-და-სხვა სიმჟავეს აჭმევენო, კოწახურს, ლიმონს და სხ. მაშასადამე, ეს წამლობა მეცნიერებაზედ ადრე მოუგონია ხალხს. სიმჟავით წამლობა მაშინვე უნდა ხუნაგიანს, რა წამსაც-კი გამოაჩნდება ავადმყოფობა. თუ ავადმყოფი მორჩა, მაინც ყელში რამდენსამე ხანს კიდევ აქვს ბაცილები და ამიტომ ადამიანი უნდა ერიდოს, რომ ხუნაგი სხვას არ გადაედოს და ხუნაგისაგან მორჩენილი რამდენსამე ხანს განცალკევებული უნდა იყოს. დასასრულ ბ-ნმა სახაროვმა სთქვა, რომ «ხუნაგის ბაცილების აღმოჩენა სწორედ რომ დღესასწაულია ბაქტერიოლოგიისა. მეცნიერებამ ადამიანის ერთ-ერთს მტერს მიაგნო და ეხლა, უეჭველია, მალე დაამარცხებს კიდეცაო».

იმავე დღეს ბ-ნმა მამინოვმა წარუდგინა მკურნალთა საზოგადოებას 7—8 წლის ქალი, რომელსაც არც ფილტვები აქვს დაშავებული, არც ყელი და აგერ ორი წელიწადია სრულიად უმიზეზოდ ახველებს. ასეთი ხველა ძლიერ იშვიათი და ძნელი მოსარჩენი ავადმყოფობაა თურმე.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთმა „Кавказъ"-მა ამ ბოლო დროს დიდი ყურადღება მიაქცია სამეურნეო სწავლა-ცოდნის გავრცელების საჭიროებას ჩვენს ქვეყანაში და რამდენიმე წერილი უძღვნა ამ საგანს. გუშინდელის ნომრის მეთაური წერილიც ხსენებულის გაზეთისა საცხენისის ორკლასიანს სასწავლებლის ავ-კარგიანობასა და ბედ-იღბალს შეეხება. საცხენისის ორ-კლასიანს პირველდაწყებითს პანსიონიანს სასწავლებელს საერო განათლების სამინისტრო ყოველ წლივ აძლევს 12,900 მანათს. ამას გარდა, ტფილისის სამოსწავლო ოლქიც თავისით 2,000 მანათს იძლევა ხარჯად ხსენებულ სასწავლებლის სამეურნეო განყოფილებისა.

ჩვენ არ ვიცითო, ამბობს გაზეთი:

რადაა ეს სასწავლებელში დაარსებული? მაგრამ იმას-კი ვიტყვით, რომ ეს სასწავლებელი თავის განსავითარებლად ძლიერ სამძიმო და გასაჭირს მდგომარეობაშია ჩავარდნილი: გამართულია სადღაც მიყრუებულს ალაგას, სადაც ფოსტა ვერა სწვდება. ამის გამო ყმაწვილების მიყვანაც ხსენებულს სასწავლებელში ძნელია და ვერც მშობლებს ძალ-უძთ დროზე ნახონ ხოლმე შვილები და ყური უგდონ. დასასრულ, ჰავაც საცხენისისა კარგი ჰავა არ არის; ექიმი იქ არა ჰყავთ და მასწავლებლებისა და გარედგან მოსიარულე მოსწავლეებისათვის რიგიანი სადგომები არ მოიპოვება, რასაც ის გარემოებაც ჰმოწმობს, რომ პანსიონში 110 ყმაწვილი სცხოვრობს და გარედგან-კი მხოლოდ თითო-ოროლა დაიარება.

შემდეგ გაზეთი განაგრძობს: რადგან საცხენისის სასწავლებელზედ ასე ბლომად იხარჯება ფული და მთავრობასაც იმის შენობის გადასაკეთებლად ერთ ხნობით გადადებული აქვს 47 ათასი მანათი, ამიტომ თელავის მაზრის თავად-აზნაურობამ, მიხედვით სამოსწავლო მთავრობისა, რომელსაც ჰსურს ეს სასწავლებელი სამეურნეო სასწავლებლად აქციოს, ითხოვა საცხენისის სასწავლებელი თელავში გადმოიტანეთო. თელავის საზოგადოებამ თავის მხრივ ამ საგნისათვის აღუთქვა მთავრობას—15 დესეტინა მიწას მივცემთ სასწავლებელს, წყალს გავიყვანთ იმ მამულში და იმ 47 ათასის მანათით სკოლისათვის ყოველს საჭირო შენობას გაგიმართავთო. მთავრობა

დასთანხმდა საცხენისის სასწავლებლის თელავში გადატანას, მაგრამ მოითხოვა, თელავის საზოგადოებამა და იმის მაზრის თავადაზნაურობამ ხსენებულს სასწავლებელს წელიწადში 3,000 მანათი აძლიოს სამეურნეო განყოფილებისათვისო. საქმე ჯერ-ჯერობით ამაზეა შეჩერებული. გაზეთის სიტყვით,

თელავი შუაგული ადგილია შემდეგის მაზრებისა: თელავისა, სიღნაღისა, თიონეთისა და ტფილისის მაზრის ერთის ნაწილისა. ამის გამო სწავლისა და ხარჯის მხრივ სასწავლებელი მოგებაში იქნება, თუ საცხენისიდგან თელავში გადაიტანეს. მაგრამ თელავს სრულიად არ ძალ-უძს 3000 მანათის გაღება შეუძლებლობისა გამო, რადგან სხვა ხარჯსაც ვერ ასვლია. თავად-აზნაურობასაც ვერ შეუძლიან ფულის გაღება, იმავე მიზეზის გამო, რასაც ჰმოწმობს ის გარემოებაც, რომ სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს ხარჯის ერთი მესამედიც ვერ გადაუხდიათ და დახმარება ვერა აღმოუჩენიათ-რა თელავის წმ. ნინოს სასწავლებლისათვის, რომელიც მთელს კახეთში ერთად-ერთი დედათა სასწავლებელია.

სხვა აღარაფერი აღარა დარჩენია საგუბერნიო მთავრობას იმის მეტიო, ამბობს შემდეგ გაზეთი, რომ მოუცადოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის საზოგადო კრებას, იმასა სთხოვოს 3,000 მანათი ყოველ წლიური დახმარებაო, და ბოლოს დასძენს:

ტფილისის გუბერნიის საეროზე ფულითაც შეიძლებოდა ხსენებულის სკოლის დახმარება, რაიცა უთუოდ მოხდებოდა კიდეც, რომ ჩვენშიაც არსებობდეს საერობო დაწესებულებანიო.

ჩვენის მხრით იმაზედ არას ვიტყვით, ვინ უფრო მოვალეა დაეხმაროს საცხენისის სასწავლებელს, მაგრამ ის-კი სწორედ სასურველია, რომ როგორმე მოხერხდეს და ხსენებული სასწავლებელი მართლა თელავში იქმნას გადატანილი.

---

## რუსეთი

4 მარტს სარკინის გზო კონგრესი გაიმართა. როგორც ისმის, ამ კონგრესს უკვე გადაუწყვეტია, რომ რუსეთის ყოველს რკინის გზაზედ მოსწავლეებს სამგზავრო ბილეთში მხოლოდ მეოთხედი ფასი გადაახდევინონ ხოლმე. აქამდე-კი ეს კანონი მხოლოდ სახელმწიფო რკინის გზებისათვის იყო დადგენილი.

— 1893 წელს რუსეთში სრულიად რუსეთის სამრეწველო გამოფენის გამართვას აპირობენ. ამ გამოფენის გასამართავად შესდგება ამხანაგობა, რომლის დებულებაც უკვე წარდგენილია განსახილველად „რუსეთის მრეწველობისა და ვაჭრობის დამხმარებელს საზოგადოებაში".

— შინაგან საქმეთა სამინისტროს საბეითალო კომიტეტს განუზრახავს ქალაქს ტომსკში გამართოს საბეითალო ინსტიტუტი. ეს აზრი ფინანსთა მინისტრსა და საერო განათლების სამინისტროს მოსწონებია, ასე რომ, როგორც ისმის, ტომსკში მალე გაიმართება საბეითალო ინსტიტუტი.

— როგორც გაზეთი „Новости" იუწყება, ჰაერში აფეთქების შემწეობით წვიმის მოყვანის საქმე რუსეთში მალე მოხერხდება. სადაც აქამდე უცდიათ ეს საქმე, ყველგან მოუხერხებიათ, და ამიტომ რუსეთის მთავრობამაც განიზრახა სცადოს ჰაერში აფეთქებით წვიმის მოყვანა. პირველად რუსეთის სამხრეთს გუბერნიებში სცდიან იმ დროს, როდესაც კარგა ხანს წვიმა არ მოვა.

— ლაპარაკობენ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახელმწიფო საბჭოში პროექტი წარადგინა იმასი, რომ ფოსტის მოხელეებს, რომელთაც ამ ჟამად სახელმწიფო სახლი არა აქვთ, მიემატოთ სახლის ფულად 30 პროცენტი მათის აწინდელის ჯამაგირისა. ასეთი პროექტი იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ, ჯერ ერთი, ფოსტის მოხელეებს სხვა უწყების მოხელეებზედ გაცილებით მეტი ჯაფა ადგიათ და მეორეც, რადგან უდროოდროსაც დასჭირდებათ ხოლმე ფოსტის მოხელეებს სამსახურში მისვლა, ამიტომ ყოველთვის იძულებულნი არიან სადგომები კანტორაზედ ახლო სადმე დაიჭირონ, ე. ი. ქალაქის შუაგულში, სადაც სახლის ქირა ერთი ორად მეტია.

---

„— ღმერთმა შენც შეგარცხვინა და თემიც!.. ქხლავ გამოდი აქა და ეგ უნამუსოც (მზალო) გამოიყვანე, თორემ, სიცოცხლე მაქვს, შავი დღე შენ დაგაყენო!

„— გაგი, თემს ნუ ჰკლანძავ, არაა წესი... არც დედაკაცის ლანძღვა არის კაცის საკადრისი, თორემ, ღვთის მადლმა, სისხლი ყელში მოვიდა („ელგუჯა", გვერდი 49).

ამ სახით, ერთის მხრივ მათია-ელგუჯები და მეორეს მხრივ ჩოფიკაშვილისთანები; ცალს მხარეზე გმირნი, რომელნიც თავსა სდებენ მამულისათვის, თემისათვის; მეორე მხარეზედ—რენეგატები, მოღალატენი, რომელნიც სამშობლოს ფეხქვეშ ამოიდებენ, ოღონდ-კი მტერმა ერთი გაღიმება აღირსოთ...

**

ამისთანა დრო აუღია საგნად ალექსანდრე ყაზბეგს, რომელსაც ზოგიერთი პატივცემული მწერლებიცკი უსაყვედურებენ—ზომიერება არა გაქვსო, ე. ი. ვისაც აქებ, ისე აქებ, რომ ცამდის აგყავსო, და ვისაც აძაგებ, სულ დედამიწასთან გინმიანი. რასაკვირველია, ყოველს ბოროტებას აქვს თავისი მიზეზი, ხშირად შესაწყნარებელიც, მაგრამ ნამეტანი იქმნებოდა გვესაყვედურებინა ვისთვისმე, რატომ ბოროტი სული არ გიყვარსო, რატომ არ შეჰხარი, არ შესტრფი და მადრიგალებს არ უწერავო. ეგ ხომ წრეს-გასული და ფარისევლური ფილოსოფოსობა დაემართებოდა ჩვენს ყაზბეგს, რომელსაც ასე ჩინებულად ესმის მოხევის გულის პასუხი, ასე იწვის მასთან ერთად შინაგანის ცეცხლით და ასე გულმოკლული დასტირის გამქრალს თემობას, ჩვენის დიდების შემქმნელსა და მკვებავს. რაიცა შეეხება მამულიშვილთა გმირობას, რომელიც „ელგუჯაშია" გამოხატული, ჩვენის აზრით, აქ გადაჭარბებული ერთის მისხლის ოდენაც არა არის-რა. გადაფურცლეთ ისტორია ლაგოდახის „დრუჟინისა", შედგენილი ვოლკონსკის მიერ, და ჰნახავთ, რომ იქ მოთხრობილია მართლაც და გასაშტერებელი ამბები ვაჟკაცობისა, მხნეობისა, ხერხისა და მრავალის სხვისა. იქ ხომ მოგონილი არა უნდა იყოსრა, და მასთან შედარებით ელგუჯამათიას უნარი შესამჩნევიც არ არის.

თითონ ის ისტორიული მომენტი მოითხოვდა გმირობას ჲ აგერ მთის ხალხიც გამოდის საგმირო ასპარეზზედ.

უკან ჩამორჩენილან ლაჩრები ან მოღალატენი. რამდენადაც მოსაწონნი არიან პირველნი, იმდენად დასაწუნნი არიან მეორენი. რამდენადაც ერთისკენ მიმართულია თქვენი თანაგრძნობა, იმდენად არ გეზოგებათ მეორეების მიმართ ზიზღი. ხოლო ყაზბეგის ნაწერების ხასიათისა უნდა მოგახსენოთ, რომ იგი თვით უავაზაკეს გმირთა გულშიაც-კი ჰხედავს ადამიანურს გრძნობას, იქამდე მართალია, რომ ასრე ჰ წოდებულს ზომიერებას ფრთხილად იცავს და გვეუბნება, რომ თვით უადამიანო გირგოლასაც-კი მოაგონა თავი პატიოსნობამ და სიკვდილის დროს მისს სინიდისმაც-კი გამოიღვიძა და მხილება დაუწყოო (იხილეთ „მამის მკვლელის" უკანასკნელი ფურცლები).

**

ბოლოს არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა ელგუჯას ამხანაგის მათიას შესახებ, რომლის პიროვნული ხასიათი, შემთხვევით თუ განზრახ, ჩინებულად არის ავტორის მიერ გატარებული მოთხრობაში თავიდგან ბოლომდე. მათია და ელგუჯა „ძმად გაიფიცნენ", ამის გამო ისინი ერთმანეთში უახლოვესს ნათესავებზედ უფრო ნათესავნი შეიქმნენ. ამ ამბის შემდეგ მათია ჰნახავს მზალოს, საცოლეს ელგუჯასას, და მოედება სიყვარულის ცეცხლი. მათიას ველარ მოუშორებია მზალოს სახე. მთაშია თუ ბარში, ცხვარს მისდევს საძოვარზე თუ სახლშია, მისი ფიქრი სულ მზალოსთანა ტრიალებს. თანაც სწყევლის თავისს თავს, რომ ასეთი გრძნობა ჩაუვარდა გულში, სწყევლის იმიტომ, რომ იგი ძმადგაფიცულია ელგუჯასთან, და როგორ უნდა უღალატოს თავისს ძმას. საკვირველის ხასიათის სიმართლით არის გატარებული სულის მდგომარეობა მათიასი ბოლომდე. გული რაღაც შეღავათსა ჰგრძნობს, როდესაც ამისთანა სრულს რაინდსა ჰხედავს კაცი უბრალო მეცხვარის ქერქში. დიდხანს იტანჯა მათიამ ამ გრძნობის ცეცხლით, მაგრამ თავს იქამდე იმაგრებდა, რომ არ გაუმჟღავნა თავისი ტანჯვა მზალოსაც-კი, თუმცა შემთხვევა ბევრჯელა ჰქონდა. ბოლოს, ერთს ღამეს, როდესაც იგი ეწვია ელგუჯას და უკანასკნელი გაემგზავრა სხვაგან საქმეზედ, მათიამ ველარ მოითმინა და გამოუტყდა მზალოს, რომელიც სულ არ მოელოდებოდა ამისთანა გრძნობას ძმად-გაფიცულისაგან ჲ რომელმაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია მათიას. საქმე ძალმომრეობაზედ მიდგა, მაგრამ ამ დროს მოვიდნენ ყაზახები ელგუჯას დასაჭერად, მოხდა არეულობა, რომელმაც იმსხვერპლა მათიაცა და ზედ-მოტანებული ელგუჯაც. ამით დაიხსნა ავტორმა ძალმომრეობის მიტანისაგან მათია, და მკითხველმაც ამოისუნთქა.

სტ. ჭრელაშვილი

## უცხოეთი

**გერმანია.** ბერლინიდგან შემდეგს დაწვრილებით ამბავს იუწყებიან ცედლიცისა და კაპრივის მიერ სამსახურიდგან გადადგომის შესახებ. 5 მარტს მინისტრთა კაბინეტს, ანუ კრონ-რატის იმპერატორის თავმჯდომარეობით მომხდარ კრების დროს ლაპარაკი სკოლათა შესახებ მხოლოდ ბოლოს დაიწყეს, რადგან უმთავრესი განსახილველი საგანი სხვებისთვის სულ სხვა იყო. იმპერატორი ვილჰელმი, რომელიც იმ ერთის კვირის წინად სრული თანხმა იყო ცედლიცის სასკოლო კანონ-პროექტის აზრისა, უცრად მიუბრუნდა ამ კრების დროს მინისტრს ცედლიცს და უთხრა: „გრაფო, თქვენ რიგიანად ვერ შემატყობინეთ აზრი და სურვილი ხალხისა; მეუბნებიან, რომ ზომიერ კონსერვატორთა შორის აგიტაცია ძლიერ გაძლიერდაო. მე არა მსურს ზომიერ კონსერვატორთა და ნაციონალ-ლიბერალთა მომდურება და მოშორებაო". გრაფი ცედლიცი იმ გვარად განაცვიფრა ამ მოულოდნელმა ამბავმა, რომ პასუხიც-კი ვერა გასცა იმპერატორსა. იმის მაგიერ წამოდგა კანცლერი კაპრივი და განაცხადა, საჭიროა ცედლიცის კანონ-პროექტის განხილვა კომისიაში დავამთავროთო. „არა, არაო, აჩქარებით განაგრძო იმპერატორმა: ეხლავე მინდა ბოლო მოვუღო ამ გაჭიანურებულსა და სამძიმო მდგომარეობასაო". ამას შემდეგ წამოდგა გზათა მინისტრი ტილენი, შეიღო (?) ცნობილი სალეთის-მეტყველო ფილოსოფოსი, და სთქვა: მე, მიქელი, გერფურტი და მეტუბეტი (?) თანახმანი ვართ იმპერატორის აზრისა. აწინდელი მდგომარეობა მართლა ძლიერ გაჭირვებულ-გამწვავებულია, დრომდე უნდა მოვლოთ ბოლო და ის საჭირო-ბოროტო კანონ-პროექტი პალატიდგან უკანვე უნდა იქმნას წაღებულიო. გრაფმა ცედლიცმა იმ დღესვე წარადგინა სამსახურიდგან გადადგომის ქაღალდი. მეორე დღეს ასევე მოიქცა კანცლერი კაპრივიც, რომელმაც სამსახურიდგან გადადგომის ქაღალდი წარუდგინა წინად ჯერ რეიხსტაგის პრეზიდენტსა და მინისტრების მოთავეობასა (?).

ასე უეცრად რამ შეუცვალა გუნება იმპერატორს, რომელიც, როგორც ზემოდაც ვსთქვით, იმ რამდენისამე დღის წინად მომხრე იყო ცედლიცისა და იმის მიერ შედგენილის კანონ-პროექტისა? ბევრნი ამბობენ, გუნება იმპერატორს ვილჰელმს ბადენის (?) ჰერცოგმა შეუცვალა, რომელიც წინა დღით ბერლინში იყო და კარგა ხანს ესაუბრა იმპერატორსაო. ამისთანავე ამბობენ, იმპერატორმა არ იცოდა, თუ ისე ძლიერ იყო ხალხი კანონ-პროექტის წინააღმდეგ აღელვებული და მხოლოდ ბოლოს ლაპარაკებმა (?) შეიტყო ყველაფერიო. სხვანი სხვა მიზეზს ასახელებენ იმპერატორის გუნების შეცვლისას. იმ წინა დღეებში პალატამ განიხილა პროექტი ბერლინში ტაძრის აშენებისა. გეგმა განზრახულ ტაძრისა იმპერატორის მიერ მოწონებული იყო. რამდენიმე დეპუტატი წინააღმდეგ გახდა იმისი, რომ 10 მილიონი მარკა გადადეთო ამ საგნისათვის სახელმწიფო ფულიდგან,—ჩვენი ფინანსები უმაგისოდაც აწეწილიაო. თავისუფალ მოაზროთ ძლიერ მკაცრი სიტყვები წარმოსთქვეს მეფის თხოვნის წინააღმდეგ და ურჩევდნენ, ტაძარი სასახლის ფულით ააშენოთო. ამ ლაპარაკის დროს მინისტრი ცედლიცი თავის ალაგიდგან არ დაძრულა და პასუხი ოპოზიციისთვის არ გაუცია. ეს ამბავი იმპერატორს ეწყინა და იმიტომ გაუგულგრილდა ცედლიცსაო. მაგრამ ეს უკანასკნელი აზრი ვერ არის სანდოთ. იმპერატორი თუნდა ამის გამო კიდეც გაგულგრილებოდა პირადად ცედლიცს, კანონ-პროექტზედ ისე უცბად მაინც არ იტყოდა უარსა, რომ მარტო არ შეეგნო სიძლიერე და გამწვავება ოპოზიციისა, რომელსაც ემხრობოდა (?) ყველა, უმეტესი ნაწილი მინისტრებისა და გერმანიის შინაური მოაზროვნეობა (?).

ალბად ეს გარემოებაც იყო მიზეზი, რომ იმპერატორი უკანასკნელს დროს ძლიერ აღელვებული იყო და თავისს სანადირო აგარაკს წავიდა რამდენისამე ხნით. ბერლინში ამბობენ კიდეც, იმპერატორი, გაცივებული-კი არ არის, როგორც ოფიციალურად აცხადებენ, არამედ მხოლოდ გაბოროტებულიაო. უამისოდ მართლაც, აბა რადა უნდა გასცლოდა იმპერატორი ბერლინს იმ დროს, როცა ყველანი გულის ძგერით მოელოდნენ საქმის ასე თუ ისე დაბოლოებას!

## გასართობი

ექიმი ჰკითხავს ავადმყოფს:

— აბა, ეხლა როგორა ხართ?

— მადლიან კარგად, ექიმო.

— თავი არა გტკივათ?

— არა.

— სტომაქი კარგად გაქვთ?

— საუცხოოდ.

— მაშ კარგად გიწერთ (?), მაშასადამე, ეხლა აღარ გამოვივლით (?) და უფლება (?) ამ გაგიყვნოს (?).

* *

შვილი მამას ჰკითხავს:

— მამა, რას ჰნიშნავს სიტყვა ბელეტრისტი?

— ამა, შვილო, აგ როგორ აღარ იცი? ბელეტრისტი ფრანგული სიტყვაა და ფრანგულს რომ სწავლობდი, არა გრცხვენია? აბა მითხარ, რას ჰნიშნავს ფრანგულად სიტყვა „Belle" (ბელ)

— მშვენიერს.

— „Triste" (ტრისტ)

— მწუხარეს.

— ხომ გაიგე ეხლა! ბელეტრისტი, მაშასადამე, ისეთი ხელოსანია (?), რომელიც თუ მშვენიერია, მაინც-კი სამწუხაროა (?).

— მერე რად არის, მამა, სამწუხარო?

— ჰმ... რატომ?.. იმიტომ არის სამწუხარო, რომ ბელეტრისტებს გროშიც არასოდეს არ მოეძევება ხოლმე ჯიბეში.

* *

ორი მეგობარი ჰლაპარაკობენ ერთმანეთში.

პირველი: არა, ... სულელი, რა გიშმაკმა გაფიქრებინა ცოლის შერთვა? უცოლოდ შენთვის არხეინად სცხოვრობდი, ეხლა-კი ერთი ჩხუბი და აურზაური დაგეწყებათ და აირევა მონასტერი.

მეორე: არც ჩხუბი დაგვეწყება და არც მონასტერი აირევა, იმიტომ-რომ ჩემი ცოლი მოსარეცხეა და მთელი დღე სამუშაოზედ იქნება; ღამე კიდევ მე ასასხადა (?) ვარ და იმისთვის არ მეცლება. აბა როდის-ღა უნდა ვიჩხუბოთ?

* *

— არ იცი, თებერვალს ყველა სხვა თთვეზედ ნაკლები დღე რადა აქვს?

— იმიტომ-რომ ერთის კონცერტით ნაკლები გაიმართოს.

* *

— პეტრე, ელევატორი რა არის?

— ელავატორი?

— ჰო ელევატორი!..

— ელევატორი... როგორ გითხრა... ეს... ეს... რომ უფრო კარგად შეიგნო...

— ჯერ ერთი ეს მითხარ, შენ თითონ-კი იცი, რა არის ელევატორი?

— ვინ არ იცის, რას ამბობ. როგორ არ მეცოდინება, როდესაც ყველა სულელმაც-კი იცის!..

— ჰო, მაშ თუ აგრეა, გმადლობ, ნუღარ მეტყვი, საჭირო აღარ არის.

* *

„თავ-მდაბლობა გმირის სამკაულიაო", სთქვა ერთმა ფულების ამომღებმა და განგებ გაკოტრებულმა კაცმა, ბრანძები ჩაიცვა და მოვალეებს თავი შეაბრალა.

„განათლებული კაცი ერს წინ უნდა უძღვებოდესო", ჰფიქრობდა ჯიბგირი და რაც შეეძლო ჰკურცხლავდა მდევართაგან.

„დიდებულმა კაცმა წვრილმანს ყურადღება არ უნდა მიაქციოსო" სთქვა კასსირმა, მანათიანების დასტა იქით გადისროლა და ათ თუმნიანები ჩაჯიბა.

„ღარიბი არ უნდა დაივიწყოს ადამიანმაო", სთქვა ფულის სესხით გამცემმა და ათ თუმნიანის მსესხებელს ასის თუმნის თამასუქი ჩამოართვა.

## დეპეშა

17 მარტი

**ბერლინი.** როდესაც გრაფმა ეილენბურგმა განაცხადა დეპუტატთა პალატაში, სასკოლო კანონ-პროექტი უკანვე იქმნას წაღებულიო, მემარჯვენეთ და ცენტრმა სიცილი, სტვენა და ხმაურობა ასტეხეს. ლიბერალებმა ტაში დაჰკრეს. ლაპარაკობენ პალატის დათხოვნის შესახებ.

**პარიჟი.** დილას გაზეთები და მათ შორის „Radical et Justik"-იც თხოულობდნენ, ენერგიული ღონისძიება იხმარეთ ანარხისტთა წინააღმდეგაო. „Figaro" ურჩევს, ამერიკული და ინგლისური ღონისძიება ვიხმაროთო, ე. ი. დიდს ფულს დავპირდეთ დამნაშავეთა აღმომჩენელსაო.

18 მარტი

**ასტრახანი.** წესიერი მიმოსვლა კასპის ზღვის ნავთსადგურებთან დღეს დაიწყო.

**კიევი.** დნეპრს კიევთან ყინული აეყარა. ნაოსნობა დაიწყო.

**ბომბეი.** გმირ აბდურახმანის ჯარმა დაიპყრო ქალაქი ასმარი კაფირისტანში ემირს ეხლა შეუძლიან კაფირები იძულებულ ჰყოს დამორჩილებას.

### პეტერბურგის ბირჟა, 17 მარტი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | 7, 92 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | $156^1/_2$ | $158^1/_2$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | — „ | 1, 15 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 237 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | $219^3/_4$ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — „ | 198 | $198^1/_4$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## განცხადებანი

**ხომლი** ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ დაიბეჭდა მეორე გამოცემით წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. წიგნი მოწონებულია განათლების სამინისტროსა და უწმინდესის სინოდისაგან სკოლებში სახმარებლად. ღირს ექვსი შაური. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოცდა ათს ცალსა, ან მეტსა, წიგნი დაეთმობა 25 კაპეიკად. წიგნი ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, არწრუნისეულს ქარვასლაში № 125 და 126.


[illegible]!!!

საპონი ოლეო-ვაზელინი

როიალ-კონგო!

ახალი ამბავი!!!

სურნელოვანი წყლები

FIN DE SIÈCLE

და სხვა საპარფიუმერიო და საკოსმეტიკო საქონელი

ფაბრიკისა

„ვიქტორია რეგინისი"

ე. გოდლო და ამხ.

მოსკოვში.

(10—1)



**პირველი ზეთის გამოსახდელი ქარხანა ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა ქალ. ტფილისში.**

დიდ-მარხვისათვის ქარხანაში ისყიდება ნარდად მყიდველთათვის **ზეთები**: ა) საჭმელად: შირბახტისა, სელისა, სოკოსი, კანაფისა, ბ) კანდელისა, გ) მოხარშული, საღებავ წამლებისთვის, აგრეთვე ჩენჩო ძროხებისა და ხარების საკვებად. წვრილ წვრილად შირბახტის ზეთი გირვანქიან და ორ გირვანქიან შუშებით ისყიდება შემდეგს მაღაზიებში: 1) საავთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობაში, 2) კოკანის მაღაზიებში, გოლოვინის პროსპექტზედ, დობრჟანსკის სახლის პირდაპირ და ვარანცოვის ძეგლის მახლობლად, 3) ბ. ალიხანოვთან, გოლოვინის პროსპექტზედ, დობრჟანსკის სახლის პირდაპირ. 4) კ. მირზახანოვთან პუშკინის ქუჩაზე, 5) გრ. ბეჟანოვთან მიხეილის ქუჩა, 6) დ. მაკაროვთან ნიკოლოზის ქუჩა, საკუთ. სახლი, 7) კარკაროვთან, გოლოვინის პროსპექტი, ორბელიანის სახლის პირდაპირ და 8) სარაჯოვთან გოლოვინის პროსპექტი, ბაბანასოვის სახლი. ყოველგვარ ზეთის წვრილ წვრილად ყიდვა შეიძლება საკუთარს საწყობებში: 1) იარმუკაზე, ბუღდანოვის სახლში, ყასბების გვერდზე, 2) თათრის მოედანი, ქალაქის ფიცრის ფარდული, 3) ოლგას ქუჩა, მებურნუთოვის სახლი, ქვის ნახშირის საწყობთან და 4) ავლაბრის მოედანი, ქალაქის ფიცრულის ფარდული № 1. (10—10)



**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1892 ГОДЪ**

ГОДЪ 2-Й ГОДЪ 2-Й

**НА ЛИТЕРАТУРНО-ИСТОРИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ**

**ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ.**

**12 книгъ въ годъ,—ежемѣсячно не менѣе 400 страницъ большаго формата.**

„ВѢСТНИКЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ" издается въ 1892 году въ томъ же объемѣ и по той же программѣ, какъ издавался въ прошломъ году, а именно: 1) романы, повѣсти и всякаго рода произведенія художественной литературы; 2) историческіе разсказы, біографіи, мемуары и всякаго рода очерки по исторіи культуры; 3) путешествія, географическіе и нравоописательные очерки и 4) смѣсь, анекдоты, извѣстія, объявленія.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА ПРЕЖНЯЯ:**

съ доставкою и пересылкою: на годъ—4 руб., на 6 мѣсяцевъ—2 руб., безъ доставки и пересылки: на годъ—3 руб. 50 коп., на 6 мѣсяцевъ—1 руб. 75 коп. Гг. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою, за поручительствомъ гг. казначеевъ.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ: въ С.-Петербургѣ—въ Конторѣ Редакціи „Вѣстника Иностранной Литературы". Гостиный дворъ, Зеркальная линія, № 64, Магазинъ П. Ѳ. Пантелеева (противъ Пажескаго Корпуса), въ Москвѣ—въ Конторѣ Н. Н. Печковской, Петровскія линіи, а гг. иногородные благоволятъ адресоваться въ Редакцію журнала, С.-Петербургъ, Верейская улица, домъ № 15, собственный.

Редакторъ **А. Н. Энгельгардтъ** Издатель **Г. Ф. Пантелеевъ.**


Дозв. ценз. Тифлисъ, 18-го Марта 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.